

531075-37
h 611

გ. ბიჭვინთაძე

პოეზიის
საკონსერვატიული
სამართის უქონის
ნიმუხები

გ. ბიჭვინთაძე

ერთაშორისო სისწავლე

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს მიერ დაამტკიცებულია დამხმარე
სახელმძღვანელოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის
სტუდენტებისათვის



40534



40537

(095-3)

Цирикалес ტურამ ნიკოლაესი
Международная система единиц
(в грузинском языке)

სახელადებრივი რედაქტორი რ. ცუტაიაშვილი
გამომც. რედაქტორი მ. შრეღაშვილი
გარეკანის მხატვარი ხ. გთვალაძე
მხატვრული რედაქტორი მ. ნიორაძე
ტექნიკური რედაქტორი კ. კართაშინაძე
კორექტორი დ. ქვბულაძე

ხელმოწერილია დასბეჭდად 22.IX-66 წ., ქალაქის ხონა 60X90.
ნაბეჭდი თანაზი 6,25. საადრიცხვი-საგანმცემლო ანაზი 5,54.

ფასი 19 კპ.

შე 02809

შევეთა № 670

ტარაჯი 2000

განმცემლობა „განათლება“, თბილისი, ვაშლის ქ. № 13
Издательство „Генათება“, Тбилиси, ул. Каши, № 13
1966

№ 13 ატანა, თბილისი, ლენინის ქ. 69
Типография № 13, Тбилиси, ул. Ленина, 69

2-3-1
351-66

ბ ბ ბ რ ე ს ა ზ ა ნ

ზომათა და წონათა XI საერთაშორისო კონფერენციებზე, რომელიც ექვსი წლის წინათ შედგა, გადაწყდა ერთეულთა საერთაშორისო სისტემა SI-ს (სისტემა ინტერნაციონალური) შეზღუდვა. სსრ კავშირში აღნიშნული სისტემა ძალაში შევიდა 1963 წლის 1 იანვრიდან ГОСТ 9867-61-ით. ახალი სტანდარტი აღგენს, რომ ერთეულთა საერთაშორისო სისტემის უნდა მიეცეს უბირატესობა მეცნიერების, ტექნიკის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ამივე დროს სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ერთეულთა საერთაშორისო სისტემასთან ერთად დასაშვებია ერთეულთა სხვა სისტემები, რომლებიც მის ნაწილს წარმოადგენენ და ზოგჯერ სწორედ მათ უნდა მიეცეს უბირატესობა. მექანიკურ სიდიდეთა საზომი ერთეულების შერჩევისას უბირატესობა უნდა მიეცეს MKS (მეტრი, კილოგრამი, წამი) ერთეულთა სისტემას; სიბრტყე სიდიდეთა საზომი ერთეულებისათვის მიღებულია MKSI სისტემა (მეტრი, კილოგრამი, წამი, კელვინის გრადუსი), ელექტრომაგნიტურ სიდიდეთათვის კი — MKSA სისტემა (მეტრი, კილოგრამი, წამი, ამპერი).

ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ძირითად ერთეულებად მიღებულია: სიგრძის — მეტრი, მასის — კილოგრამი, დროის — წამი, დენის ძალის — ამპერი, თერმოდინამიკური ტემპერატურის — გრადუსი კელვინის სკალით, სინათლის ძალის — სანთელი. ამ ერთეულთა განსაზღვრიდან მხოლოდ მასის ერთეულის — კილოგრამის განსაზღვრა რჩება უცვლელად (მიღებულია 1901 წელს), დანარჩენი ერთეულები განსაზღვრულია ხელახლა ზომათა და წონათა გენერალური კონფერენციების მიერ. წარმოებული ერთეულები მიიღება არსებული წესით — ფიზიკური კანონების საფუძველზე შედგენილი განმსაზღვრელი ვანტოლებებით.

ახალი სახელმწიფო სტანდარტი „ერთეულთა საერთაშორისო სისტემა“ ხასიათდება უნივერსალურობით მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგისათვის, ყველა სახის ერთეულები უნიფიკაციით, კოპერენტულო-

ზითა და მრავალი დადებითი თვისებით. ამიტომ ამ სისტემას ზოგჯერ და წონათა ხაერთაშორისო კომიტეტის და სახელმწიფო სტანდარტები უპირატესობას აძლევენ მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. მაგრამ კერძო შემთხვევებში არ არის გამოირიცხვლი ერთეულთა სხვა სისტემებისა და სისტემის გარეშე ერთეულების გამოყენება.

ორიგინალის გამოსაცემად მომზადებისას ხელნაწერი წიკითხა და საქმიანი რჩევები მომცა დოკ. დ. დონლაძემ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუხდით.

ყოველგვარ საქმიან შენიშვნასა და აზრს წიგნის შესახებ ავტორი ყურადღებითა და მადლობით მიიღებს.

შემაჯავლი

ფიზიკური მოვლენებისა და მათ შორის არსებულ კანონზომიერებათა შესწავლა დაიწყო მხოლოდნი და მახასიათებელი იმ ფიზიკური სიდიდეების შესწავლაზე, რომლებიც რაოდენობრივად იცვლებიან. ყოველი ფიზიკური სიდიდე მატერიის გარკვეულ თვისებას ახასიათებს. ფიზიკური მოვლენები იწვევება ფიზიკური კანონებით, რომლებიც მათემატიკურად გამოისახებიან სხვადასხვა სახის განტოლებებით. ისინი გვიჩვენებენ მოვლენათა შორის ობიექტურ კავშირს და ფიზიკურ სიდიდეებს შორის არსებულ რეალურ დამოკიდებულებას; ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ სიდიდეთა გაზომვას და მათი საზომი ერთეულების შერჩევას.

ფიზიკური სიდიდის გაზომვა ნიშნავს მის შედარებას სხვა ერთეულოვანი სიდიდესთან, რომელაც პირობით მსახურად ერთეულად; ამასათვის კი იყენებენ სათანადო საზომ ხელსაწყოებს (მაგალითად, სხეულის ხაზოვანი ზომები გაზომება მასშტაბით, იტომანქანის მოძრაობის სანქარე-ხელსაწყო სპიდომეტრით). ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ფიზიკური სიდიდის უშუალო შედარება ერთეულთან ან ხელსაწყოთი გაზომვა შეუძლებელია; ამ შემთხვევებში გასაზომი ფიზიკური სიდიდის გაზომვის მიზნით, უფრო გაზომება სხვა ფიზიკური სიდიდეები, რომლებზედაც დამოკიდებულია გასაზომი ფიზიკური სიდიდე და შემდეგ უარშედიან, რომელიც საძიებელ სიდიდეს აკავშირებს გაზომილ სიდიდესთან. საზღვრადენ საკვლევი სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობის ამოგად. ფიზიკური სიდიდის გაზომვა შეიძლება პირდაპირი (საზომთან ან ხელსაწყო-იარაღთან უშუალო შედარებით) და არაპირდაპირი გზით.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ დამსხული საკითხების სიმრავლე მოითხოვს ერთი და იმავე ფიზიკური სიდიდისათვის სხვადასხვა საზომი ერთეულების გამოყენებას (მაგალითად, ხაზოვანი ზომების გასაზომად გამოყენებულია ერთეულები: ანგსტრემი, მიკრონი, მილიმეტრი, სანტიმეტრი, მეტრი, კილომეტრი და სხვ.). ერთეულთა სიმრავლე პრაქტიკული განვარდების დროს მოითხოვს საჭირო ერთეულების სწორად შერჩევას. განვიხილოთ მაგალითი: დაუფიქროთ, ხაზოვანი ზომის ერთეულად ავირჩიეთ სანტიმეტრი; ხაზოვანი ზომის—სიგრძის ამ ერთეულისიგან

დამოუკიდებლად შეგვიძლია ნებისმიერად შევარჩიოთ მასისა და დროის საზომი ერთეულები. მასის საზომ ერთეულად მივიღოთ გრამი, დროის საზომ ერთეულად — წამი. თუ ამ შერჩევას წმდევ სიჩქარის საზომ ერთეულს ნებისმიერად შევარჩევთ, ეს გამოიწვევს სიჩქარის განმსაზღვრელი ფორმულის ერთგვარ კართულებას. ცნობილია, რომ

$$v = k \frac{s}{t}, \quad (1)$$

სადაც k პროპორციულობის კოეფიციენტი. თუ მივიღებთ, რომ $k=1$, მაშინ სიჩქარის საზომი ერთეული იქნება 1 სმ/წმ, რადგანაც სიგრძის ერთეულად მიღებული გვაქვს სმ, ხოლო დროის ერთეულად — წმ. თუ სიჩქარის ერთეულს ნებისმიერად შევარჩევთ და მივიღებთ, მაგალითად, კმ/სთ-ს, მაშინ $k \neq 1$ და მისი მნიშვნელობა განისაზღვრება თანაფარდობიდან:

$$1 \text{ კმ/სთ} = k \text{ სმ/წმ},$$

აქედან

$$k = \frac{1 \text{ კმ/სთ}}{1 \text{ სმ/წმ}} = \frac{1 \text{ კმ} \cdot \text{წმ}}{1 \text{ სმ} \cdot \text{სთ}} = \frac{100000 \text{ სმ} \cdot \text{წმ}}{3600 \text{ სმ} \cdot \text{წწ}} = \frac{250}{9}.$$

ამრიგად, თუ სიგრძეს გავზომავთ სმ-ში, დროს — წმ-ში, სიჩქარეს კი — კმ/სთ-ში, მაშინ პროპორციულობის კოეფიციენტი $k = \frac{250}{9}$ და სიჩქარის ფორმულა მიიღებს სახეს:

$$v = \frac{250}{9} \frac{s}{t}. \quad (2)$$

(1) და (2) ფორმულების შედარებიდან განომდინარეობს, რომ სიჩქარის ერთეულის ნებისმიერი შერჩევა ართულებს სიჩქარის ფორმულას, იმ დროს, როდესაც (1) ფორმულით სიჩქარის ერთეულის მიღება (სმ/წმ) ვამარტივებდა მას:

$$v = \frac{s}{t},$$

რადგანაც $k=1$.

ამრიგად, k — პროპორციულობის კოეფიციენტი გადასტყვანი კოეფიციენტის როლს ასრულებს; იგი განყენებული რიცხვია და გვაჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტია ან ნაკლებია საჩივბელი სიდიდის მოცემული საზომი ერთეული ამავე ფიზიკური სიდიდის სხვა საზომ ერთეულზე. მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ საზომი ერთეულების ნებისმიერად შერჩევა ბელსაყრელი არ არის; ერთეული უნდა განესაზღვროთ ამ სიდიდის საანგარიშო ფორმულიდან. განტოლებებს, რომლებითაც განისაზღვრება ფიზიკური სიდიდის ერთეული, ეწოდება განმსაზღვრელი განტოლებები, (მაგალითად, $v = \frac{s}{t}$, $F = ma$, $A = Fs$ და

ა. შ.) ფიზიკურ სიდიდეებს, რომელთა საზომი ერთეული შერჩეულია ნებისმიერად, ეწოდება ძირითადი სიდიდეები, ხოლო მათ შესაბამის ერთეულებს — ძირითადი ერთეულები. ფიზიკური სიდიდეების საზომ ერთეულებს, რომლებიც მიღებულია განმსაზღვრელი განტოლებებიდან, ეწოდება წარმოებული ერთეულები. ძირითადი და ყველა წარმოებული ერთეულის ერთობლიობას ფიზიკურ სიდიდეება ერთეულების სისტემა ეწოდება.

ფორმულებს, რომლებიც გაბოსახევენ კავშირს ძირითად და წარმოებულ სიდიდეებს შორის, ეწოდება განზომილების ფორმულები ან მარტივად — განზომილება. ფიზიკური სიდიდეების განზომილების აღნიშვნისათვის შექანიკაში მიღებულია შემდეგი სიმბოლოები: სიგრძის განზომილება ილანიწნება L -ით, მასის M -ით, დროის T -ით. განზომილების ფორმულის ჩაწერისათვის მსუკბულია ფორმულაში შემავალი სიდიდეების კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმა, მაგალითად, სიჩქარის განზომილებისათვის გვექნება:

$$[v] = \frac{[s]}{[t]} = \frac{LT^{-1}}{T} = LT^{-2}.$$

სიდიდეება განზომილებების სსგავსად შემოგვიყვს ერთეულის განზომილების ცნება. თუ წარმოებული სიდიდის განზომილების ფორმულაში თვით სიდიდის ნაცვლოდ შევიტანო საზომ ერთეულებს, მივიღებთ წარმოებული სიდიდის ერთეულის განზომილების ფორმულას. მაგალითად, ძალისათვის განზომილების ფორმულა გამოისახება ტოლობით:

$$[F] = [m][a] = LMT^{-2}.$$

თუ მასს ვავზომავთ კგ-ში, სიგრძეს — მ-ში და დროს — წმ-ში, მაშინ ძალის ერთეულის ნიუტონის განზომილება შემდეგი სახით გამოისახება: კგ·მ·წმ⁻².

ზოგადად, თუ სიგრძის განზომილება არის L , მასის — M , ხოლო დროის — T , მაშინ ნებისმიერი A სიდიდის განზომილება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულათ:

$$[A] = L^x M^y T^z,$$


სადაც α , β , γ შეიძლება იყოს ნებისმიერი რაციონალური რიცხვი.

XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთში მიღებულ იქნა პირველი მეტრული სისტემა, რომლია შექმნა მონაწილეობდნენ ლავრანერი, ლაპლასი და სხვები. აღნიშნული სისტემა არ ითვალისწინებდა ელემენტურ და მაგნიტურ სიდიდეება ერთეულებს. ვაუსის მიერ შემოღებულ იქნა ერთეულთა აბსოლუტური სისტემა. შემდგომ წლებში შეიქმნა ფიზიკური სიდიდეება ეტალონების სხვადასხვა კომბიტეტები, რომლებიც ლეზლომდნენ ახალ ერთეულებს და ერთეულთა სისტემებს.

დღეისათვის სამკოთა კავშირში სტანდარტებს, ზომათა და საზომ

ქიმიური ელემენტების გამოსხივებათა ხაზოვანი სპექტრების შესწავლაში ცხადყო, რომ მეტრის ყველაზე ზუსტი განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია ელემენტ კრიპტონის იზოტოპის (ატომური წონით 86) განოსხივების სპექტრის ნარინჯისფერი ხაზის (ტალღის სიგრძით 8,6057 მმ) გამოყენება. მეტრის განმსაზღვრელი გამოსხივება შეესაბამება $2h_{10}$ და $5d_5$ დონეებს შორის გადასვლას და დახასიათებულია საერთაშორისო დადგენილებაში სპექტრული თერმებით პაშენის მიხედვით.

მეტრის განმსაზღვრელი გამოსხივების ტალღის სიგრძის მისაღებად გამოყენებულ იქნა კრიპტონის სპეციალური ნათურა, რომლის სტრუ-



ნახ. 1.

მა მოცემულია 1-ლ ნახაზზე; მარცხნივ მოცემულია ნათურის გარე ხელი, მარჯვნივ კი — შრილი. შინის ზიარჭურჭელი (1) შევსებულია კრიპტონ 86-ით, მილში ჩარჩილულია კათოდი (2) ვარვარების ძაყის სახით. ზიარჭურჭელი (1) ნოთივსებულია დიუარია კურჭელში (3), რომელშიც ჩასხმულია თხევადი აზოტი — 63°K ტემპერატურაზე. ტემპერატურის გათინაზრებისათვის ჩაშვებულია სარგვი (4); დიუარის ტურჭელი (3) მოთავსებულია ვარსაცვში (5), რომლიდანაც (6) ბერვლის საშუალებით დებულდობენ გამოსხივებას ტურჭლის კაპილარული მილიდან (7). კაბილა-

რულ მილში (7), რომელშიც ადვილი აქვს კრიპტონის ნათებას, ტემპერატურას ზომივენ თერმოწყვილით (8). ვარსაცვში (5) შექმნილია ვაკუუმი ვაკუუმური ტუმბოთი, რომელიც დაკავშირებულია ვარსაცვთან ხერვლით (9). წნევას ზომივენ ნანოსეტრით (10).

2. მასის მდომალა — კილოგრამი (კგ)

1791 წ. მასის ერთეულად — კილოგრამად მიღებულ იქნა ერთ-კუბური დეციმეტრი ქიმიურად სუფთა წყლის მასა 4°C ტემპერატურაზე. 1792 წ. დამზადებულ იქნა კილოგრამის პროტოტიპი, რომელიც წარმოადგენდა პლატინისაგან დამზადებულ ცილინდრული ფორმის საწონს, რომლის სიმაღლე დიამეტრის ტოლი იყო. ეს პროტოტიპი გადაეცა საღრანგეთის ნაციონალურ არქივს. 1872 წ. მასის ერთეულად მიიღეს არქივის პროტოტიპის მასა, ხოლო 1889 წ. მასის ერთეულის — კილოგრამის ეტალონად მიღებულ იქნა პლატინა-ირიდიუმის შენაღობისაგან დამზადებული ცილინდრული საწონის მასა. კილოგრამის ასეთი ეტალონი, მიღებული საერთაშორისო პროტოტიპად, ინახება ზომათა და წონათა საერთაშორისო ბიუროში. ამ საერთაშორისო პროტოტიპის ფოტოსურათი მოცემულია მე-2 ნახაზზე.



ნახ. 2.

ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ზომათა და წონათა III გენერალური კონფერენციის მიერ მასის ერთეული განისაზღვრება შემდეგნაირად:

კილოგრამი — მასის ერთეული წარმოადგენილია საერთაშორისო კილოგრამის პროტოტიპის მასით.

2. მდომის მდომალა — წანი (წა)

ფიზიკაში დროის ერთეულად მიღებული იყო წამი, რომელიც განისაზღვრებოდა, როგორც საშუალო წლიური დღე-ღამის 1/86400 ნაწილი. მექანიკის კანონების თანახმად დადგენილია, რომ დედამიწა ერთნაირად ბრუნავს, ამიტომ წამის წემოთ მოყვანილი განსაზღვრის ცდომილება სეტად დიდია.

ერთეულთა სავრთაშორისო სისტემაში დროის ერთეულად მიღებულია წმინ, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

წაში ტროპიკული წელიწადის $1/31556925,977$ ნაწილი 1900 წლის 0 იანვრის 12 საათისათვის ეფემერიკული დროით.

ეფემერიკული დრო ეწოდება თანაბრად მიმდინარე დროს, რომელიც შედის ციური სხეულების დინამიკის განტოლებებში.

ტროპიკული წლის (დროის შეუღებო გზაჯვარის ორ მომდევნო ბუნობის შორის) ცვლადობის გამოსარიცხელ შერჩეულია გარკვეული წელი და ველია გამოთვლა დაყავთ გამოსავალ თარიღთან. ასეთ განმოსავალ თარიღად მიღებულია 1900 წლის 0 იანვრის 12 საათი, რაც შეესაბამება 1899 წლის 31 დეკემბრის ბუადღეს.

კვანტური რადიოფიზიკის განვითარება დროის მეტად ზუსტი გაზომვების საშუალებას გვაძლევს. უკვე შექმნილია რამდენიმე სანის ატომური და მოლეკულური საათები.

4. ელემენტური დინამიკის ძალიან მართალი — ამპერი (ა)

1881 წ. პარიზში ელექტრიკოსთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე დენის ძალის ერთეულად მიიღეს ამპერი. 1908 წ. ამპერი განსაზღვრეს როგორც ისეთი მუდმივი დენის ძალა, რომელიც აზოტმანგი ელემენტის მიზილის წყალსნარში გატარებისას 1 წმში გამოყოფს 1,118 მგ ვერცხლს.

ერთეულთა სავრთაშორისო სისტემის განსაზღვრით ამპერი არის ისეთი მუდმივი დენის ძალა, რომელიც გადის რა ორ ერთმანეთის პარალელურ უსასრულო სიგრძისა და უსასრულოდ მცირე წრისული კვეთის, ერთმანეთისაგან 1 მეტრით დაცილებულ ვაკუუმში მყოფ გამტარებში, ამ განტარებს შორის სიგრძის თითოეულ მეტრზე იწვევს $2 \cdot 10^{-7}$ ერთეულთა სავრთაშორისო სისტემის ძალის ერთეულის ტოლ ურთიერთქმედების ძალას.



აღნიშნულ განსაზღვრაში მიღებულია, რომ გამტარები უსასრულო სიგრძისა და უსასრულო წიერე კვეთისაა, რაც რეალურად განუხორციელებელია.

დენის ძალის პრაქტიკულ ეტალონს წარმოადგენს დენიანი სასწორი (ნახ. 3, მარცხნივ — გარე ხედი, მარჯვნივ — სქემა); ტოლმზრიანი პერკუტიანი სასწორის ერთ მხარეზე ჩაწოკიდებული მოძრავი კოჭა (1) ვაწონასწორებულია მეორე ხრის თევშზე მოთავსებული საწონით. მოძრავი კოჭა მიმდევრობით არის შეერთებული უძრავ კოჭასთან (2), რომელშიც შეუძლია (1) კოჭას მოძრაობა; როდესაც (3) ჩაწოკიდული წრედებს ჩაკეტავენ და გატარებენ მუდმივ დენს, მოძრავი კოჭა (1) ჩაღის

ურთავ (2) კოჭაში. დენების ურთიერთქმედების ძალის განსაწონისწორებლად სასწორის მეორე ხრის ტაყავზე ათავსებენ დამატებით საწონებს; ამ საწონებით განისაზღვრება კოჭებში გამაილი დენის სიდიდე.

ამ შემთხვევაში კოჭებში გამაილი დენების ურთიერთქმედების ძალი შეიძლება განისაზღვროს ამპერის კანონით

$$F = kI^2,$$



ნახ. 3.

სადაც k არის პროპორციულობის კოეფიციენტი და დამოკიდებულია კოჭების ზომებზე, ფორმაზე, გამტარების განივკვეთზე და სხვ.

ეს ურთიერთქმედების ძალი წინასწორდება m მასის მქონე საწონის სიმძიმის ძალით

$$G = mg,$$

ანუ

$$mg = kI^2,$$

საიდანაც

$$I = \sqrt{\frac{mg}{k}}.$$

5. თანამდინამიკური ამპერაჰერის მართალი ზრადისი კალვინის სკალით (°K)

სხეულთა სითბური მდგომარეობა ზუსითდება ტემპერატურით. სხეულის ტემპერატურა მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის საფუძველ-

ზე შეიძლება განისაზღვროს როგორც მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგიის პროპორციული სიდიდე:

$$\frac{mv^2}{2} = \frac{3}{2} kT,$$

სადაც m არის მოლეკულის მასა, v — მოლეკულის საშუალო კვადრატული სიჩქარე, T — აბსოლუტური ტემპერატურა და k — ბოლცმანის მუდმივა.

ტემპერატურა გრადუსებში იზომება. დღეისათვის მიღებული ტემპერატურული სკალებიდან ძირითადად გამოიყენება: ცელსიუსის (C), კელვინის ანუ აბსოლუტური ტემპერატურის (K), ფარენგეიტის (F) და რეომიურის (R) სკალები.

ცელსიუსის სკალით ათვლის საწყის ტემპერატურად მიღებულია ეინულის დნობის ტემპერატურა. ამ სკალის გრადუსი ეინულის დნობისა (0°) და ნორმალური ატმოსფერული წნევის დროს წყლის დუღილის (100°) ტემპერატურათა შორის შუალედის $1/100$ ნაწილის ტოლია.

კელვინის სკალით ათვლის საწყის ტემპერატურად მიღებულია $-273,16^\circ C$ ტემპერატურა და მას აბსოლუტური ნული ეწოდება. ამ სკალით ტემპერატურის უარყოფითი მნიშვნელობები არ არსებობს. კელვინის სკალის გრადუსი ცელსიუსის სკალის გრადუსის ტოლია.

ფარენგეიტის სკალით ათვლის საწყის ტემპერატურად მიღებულია ათვლისა და ნიშადურის ნარევის დნობის ტემპერატურა. ამ სკალის გრადუსი ათვლისა და ნიშადურის ნარევის დნობისა და ადამიანის სხეულის ნორმალურ ტემპერატურათა შორის შუალედის $1/100$ ნაწილის ტოლია. ამ სკალით ათვლის დნობის ტემპერატურა ტოლია $+32^\circ$, ხოლო წყლის დუღილის ტემპერატურა $+212^\circ$.

რეომიურის სკალით ათვლის საწყის ტემპერატურად მიღებულია ეინულის დნობის ტემპერატურა. ამ სკალის გრადუსი ეინულის დნობისა და წყლის დუღილის ტემპერატურათა შორის შუალედის $1/80$ ნაწილის ტოლია, ე. ი. ეინულის დნობის ტემპერატურად მიღებულია 0° , წყლის დუღილის ტემპერატურად 80° .

ტემპერატურათა სკალების ასეთი მათემატიკური დაყოფა ტოლ ნაწილებად დიდ უდობილებას იძლევა, ამიტომ ტემპერატურის საზომ



ნახ. 4.

ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში მიღებულია გრადუსი ცელსიუსის სკალით. ამ სკალით ათვლის საწყის წერტილად მიღებულია 0° და ეწოდება აბსოლუტური ნული. ტემპერატურის საზომი ერთეულის — ცელსიუსის ზომის დასადგენად სკალის მეორე წერტილი შერჩეულ იქნა ისე, რომ ტემპერატურული შუალედი ეინულის დნობის წერტილიდან წყლის დუღილის წერტილამდე დაეყოს 100 ნაწილად, არა გეომეტრიულად, არამედ თერმოდინამიკური შეფარდებით. ასეთ მეორე წერტილად მიღებულია წყლის სამმაგი წერტილის შესაბამის ტემპერატურა (ფაზური წონასწორობა — ეინული, წყალი, ირთქლი). სკალათა გრადუირება ხდება გზაში თერმომეტრებით, რადგანაც გაზები ტემპერატურათა გარკვეულ სიღრმეში კარგად ემორჩილება თერმოდინამიკის კანონებს.


ამრიგად, ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ძირითადად თერმოდინამიკურ ტემპერატურათა სკალა მიიღო (ნახ. 4), მაგრამ მისი შედგენა შეტად რთულია, ამიტომ პრაქტიკული გამოყენებისათვის გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკული ტემპერატურათა სკალა. ამ სკალით ტემპერატურა გამოისახება ცელსიუსის გრადუსებში ($t^\circ C$). თანადარღობა ტემპერატურათა $T^\circ K$ და $t^\circ C$ შორის შემდეგია:

$$T = t + 273,16^\circ,$$

სადაც $273,16^\circ K$ ეინულის დნობის ტემპერატურაა.

4. სინათლის ძალის ერთეული — სანთელი (სნ)

1948 წლამდე სინათლის ძალის საზომი ერთეულის ეტალონად მიღებული იყო სხვადასხვა კონსტრუქციის სანთლები და ნათურები. 1948 წელს ეტალონად მიღებულ იქნა სრული გამომსახივარი, ე. ი. ინტე-



ნახ. 5.

თი გამომსახივარი, რომელშიაც არეკვლა პრაქტიკულიდ გამოიცილებულია და სინათლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს გამდნარი პლატინა.

ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში სანთელი განისაზღვრება შემდეგნაირად:

სანთელი — სინათლის ისეთი ძალაა, რომლის დროსაც პლატინის გამყარების ტემპერატურის მქონე სრუ-

ლი გამომსხვივარას სიკაშკაშე ერთ კვადრატულ სან-
ტიმეტრზე 60 სანთლის ტოლია.

შეხვეუ ხანაზე მარცხნივ მოცემულია სრული გამოშხვივარის სქე-
მა, მარჯვნივ — სანთლის მნიშვნელობის გადაცემის სქემა ძირითადი ეტა-
ლონიდან (1) საბუშო ეტალონზე (2). საბუშო ანუ მეორად ეტალონად
გამოყენებულია სპეციალური ვარვარების ნათურა.

ღამაბამითი პრთეულეზი

ძირითადი ექვსი სიღადის და შესაბამისად მათი ერთეულების
გარდა, ერთეულთა სერთისშორისო სისტემაში მიღებულია ორი დამა-
ტებითი სიდიდე: ბრტყელი და სივრცითი კუთხეები, შესაბამისი ერთეუ-
ლებით: რადიანი და სტერადიანი.

ბრტყელი კუთხის ერთეული — რადიანი (რად)

ბრტყელი კუთხის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$\alpha = \frac{S}{R^2}$$

სადაც S არის რკალის სიგრძე, R — რადიუსი.

რადიანი არის კუთხე წრის იმ ორ რადიუსს შორის,
რომლებიც აკვთენ წრეწირზე რადიუსის ტოლ რკალს.

სივრცითი კუთხის ერთეული — სტერადიანი (სტერ)

სივრცითი კუთხე განისაზღვრება ფორმულით

$$\omega = \frac{\sigma}{R^2}$$

სადაც σ არის სივრცითი კუთხის კონუსით ამოკრილი ფართობი სფე-
როს ზედაპირზე, R — სფეროს რადიუსი.

სტერადიანი ისეთი სივრცითი კუთხეა, რომლის
წვერო სფეროს ცენტრშია და რომელიც სფეროს ზედა-
პირზე სფეროს რადიუსის კვადრატის ტოლ ფართობს
ამოკვეთს.

ამ ექვსი ძირითადი და ორი დამატებითი ერთეულის საშუალებით
შეიძლება მივიღოთ ყველა ფიზიკური სიდიდის წარმოებული ერთეულები.

მეხანეპური სიდიდეების საზომი წარმოებული ერთეულები

სამრუდე რადიუსის შემრუნებულ სადიდეს მრუდის მოცემული
წერტილისათვის სამრუდე ეწოდება

$$f = \frac{1}{R}$$

სამრუდის ერთეულად მიღებულია $1/მ$ ანუ $მ^{-1}$.

ფართობი. ფართობის ერთეულად გვეყენება ისეთი კვადრატის ფარ-
თობი, რომლის გვერდის სიგრძე ერთი მეტრის ტოლია, ე. ი. ფართო-
ბის ერთეულია კვადრატული მეტრი ($მ^2$).

მოცულობა. მოცულობის ერთეულად მიღებულია ისეთი კუბის მო-
ცულობა, რომლის წიბოს სიგრძე ერთი მეტრის ტოლია, ე. ი. მოცუ-
ლობის ერთეულია კუბური მეტრი ($მ^3$).

სიჩქარე და აჩქარება. თანაბარი ნიძრათობის ააზოვანი სიჩქარე
რიცხობრივად დროის ერთეულში გაღლილი მანძილის ტოლია, ე. ი.

$$v = \frac{s}{t}$$

სადაც s არის გაღლილი მანძილი, t — დრო.

სიჩქარის ერთეულია $მ/წმ$, ე. ი. ისეთი თანაბარი ნიძრათობის სიჩ-
ქარე, როდესაც სხეული ერთ წამში ერთი მეტრი სიგრძის ტოლ გზას
გადის.

თანაბარი ბრუნვის კუთხური სიჩქარე ეწოდება ზემობრუნების კუთხ-
ის სიდიდის ფართობას იმ დროსთან, რომლის განმავლობაშიც ეს შე-
მობრუნება მოხდა, ე. ი.

$$\omega = \frac{\varphi}{t}$$

სადაც φ შემობრუნების კუთხეა.

კუთხური სიჩქარის ერთეულია რად/წმ, ე. ი. ისეთი კუთხური სიჩ-
ქარე, როდესაც სხეული ერთ წამში ერთი რადიანის ტოლი კუთხით
შემობრუნდება.

სიჩქარის გრადიენტი ეწოდება ვექტორს, რომელიც მიმართულებით
გვიჩვენებს სიჩქარის უსწრაფესი წრდის მამართულებას, ხოლო სიდი-
დით — ამ მიმართულებით მანძილის ერთეულზე გადანაცვლების დროს
სიჩქარის ცვლილებას.

$$grad v = \frac{dv}{dt}$$

სიჩქარის გრადიენტის ერთეულია $წმ^{-1}$.

ააზოვანი აჩქარება განისაზღვრება სიჩქარის ცვლილებით დროის
ერთეულში:

$$a = \frac{\Delta v}{\Delta t}$$

სადაც Δv არის სიჩქარის ცვლილება Δt დროში.

აჩქარების ერთეულია $მ/წმ^2$, ე. ი. ისეთი თანაბარცვლილი მოძრაო-
ბის აჩქარება, როდესაც სიჩქარე ყოველ წამში ერთი მეტრით იცვლება.

კუთხური აჩქარება განისაზღვრება კუთხური სიჩქარის ცვლილებით
დროის ერთეულში, ე. ი.

$$\alpha = \frac{\Delta \omega}{\Delta t}$$



სადაც Δ არის წარმოადგენს კუთხური სიჩქარის ცვლილებას Δ დროში. კუთხური აჩქარების ერთეულია რად./წმ². ვ. ი. ისეთი კუთხური აჩქარება, როდესაც ერთ წამში სხეულის კუთხური სიჩქარე ერთ რად./წმ-ით იცვლება.

აჩქარების გრადიენტი

$$\text{grad } a = \frac{da}{dt}$$

აჩქარების გრადიენტის ერთეულია წმ².

პერიოდი და სიხშირე. პერიოდი ეწოდება დროის შუალედს, რომლის განმავლობაშიც სრულდება სრული ციკლი (სრული რხევა, ბრუნვა). პერიოდის სახშირე ერთეულია წამში.

სიხშირე ეწოდება დროის ერთეულში წესრულდებულ ციკლების რიცხვს, ვ. ი.

$$\nu = \frac{1}{T}$$

სიხშირის ერთეულია პერცი (პც), ვ. ი. ისეთი სიხშირე, როდესაც ერთ წამში ერთი ციკლი სრულდება.

$$1 \text{ პც} = \text{წმ}^{-1}$$

ძალა. სხეულზე მოქმედი ძალის სიდიდე განისაზღვრება ნიუტონის მეორე კანონით

$$F = ma$$

სადაც m არის სხეულის მასა ვახონილი კგ-ში, a — აჩქარება მ/წმ²-ში;

ძალის ერთეულია მიღებულია ნიუტონი (ნ)

$$1 \text{ ნ} = 1 \text{ კგ} \cdot 1 \text{ მ/წმ}^2$$

ნიუტონი (ნ) არის ძალა, რომელიც ერთ კგ მასის სხეულს ერთ მ/წმ² აჩქარებას ანიჭებს.

წონა არის ის ძალა, რომლითაც სხეული მოქმედებს საყრდენზე. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, წონა განისაზღვრება ფორმულით

$$G = mg$$

სადაც G არის სხეულის წონა ნიუტონებში, m — მასა კგ-ში, g — ფარდნილი სხეულის აჩქარება მ/წმ²-ში.

უკანასკნელი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ სხეულის წონა იზომება იმავე ერთეულით, რა ერთეულითაც — ძალი.

კუთრი წონა და სიმკვრივე. სხეულის კუთრი წონა ეწოდება სიდიდეს, რომელიც რიცხობრივად ტოლია მისი ერთეული მოცულობის წონისა, ვ. ი.

$$\gamma = \frac{G}{V}$$

სადაც G არის სხეულის წონა, V — მოცულობა.

სხეულის კუთრი წონის ერთეულია ნიუტონც/მ³ (ნ/მ³), ვ. ი. ისეთი ნიუტონების კუთრი წონა, რომლის ერთი მ³ იწონას ერთ ნიუტონს.

სხეულის სიმკვრივე ეწოდება სადაც, რომელიც რიცხობრივად ტოლია მისი მოცულობას ერთეულის ნისისა:

$$\rho = \frac{m}{V}$$

სადაც m არის სხეულის მასა, V — მოცულობა.

სიმკვრივის ერთეულია კგ/მ³, ვ. ი. ისეთი ნიუტონების სიმკვრივე, რომლის ერთი მ³ წეიცავს ერთ კგ ტოლ მასას.

ძალის იმპულსი, მომენტი და ძალის მომენტის იმპულსი. ძალის იმპულსი ეწოდება ძალის ნამრავლს, ძალის მოქმედების დროზე მუდმივი ძალის შემთხვევაში

$$i = Ft$$

სადაც F არის ძალა ნ-ში, t — ძალის მოქმედების დრო წმ-ში.

ძალის იმპულსის ერთეულია ნ-წმ

$$1 \text{ ნ} \cdot \text{წმ} = 1 \text{ კგ} \cdot \frac{\text{მ}}{\text{წმ}}$$

1 ნ-წმ ისეთი იმპულსია, რომელიც ტენის ერთი ნ ძალა ერთ წმ-ში.

ძალის მომენტი რომელიც წერტილის (ღერძის) მიმართ განისაზღვრება როგორც ძალისა და მხრის ნამრავლი, ვ. ი.

$$M = F \cdot l$$

ძალის მომენტის ერთეულია ნ-მ.

$$1 \text{ ნ} \cdot \text{მ} = 1 \text{ კგ} \cdot \frac{\text{მ}^2}{\text{წმ}}$$

ძალის მომენტის იმპულსი განისაზღვრება როგორც ძალის მომენტის ხანგრძლივი ძალის მოქმედების დროზე

$$j = Mt$$

ძალის მომენტის იმპულსის ერთეულია ნ-მ-წმ.

$$1 \text{ ნ} \cdot \text{მ} \cdot \text{წმ} = 1 \text{ კგ} \cdot \frac{\text{მ}^3}{\text{წმ}}$$

მოძრაობის რთულნობა. მოძრაობის რთულნობა ეწოდება მასისა და სიჩქარის ნამრავლს

$$k = mv$$

მოძრაობის რთულნობის ერთეულია კგ $\cdot \frac{\text{მ}}{\text{წმ}}$

მოდრაობის რაოდენობის მომენტი განისაზღვრება ფორმულით

$$L = m v r,$$

სადაც m არის მოძრაობის რაოდენობა, r — მანძი.

მოდრაობის რაოდენობის მომენტის ერთეულია კგ·მ²/წმ.

ინერციის მომენტი. ნატივიალური წერტილის ინერციის მომენტი ღერძის მიხედვით წარმოადგენს მასისა და ბრუნვის ღერძის მდებარეობის კვადრატის ნამრავლს:

$$I = m r^2.$$

ინერციის მომენტის ერთეულია კგ·მ².

მოდრაობის რაოდენობის ნიშნული ბრუნვის ღერძისადმი ეწოდება ამგვე ღერძისადმი ინერციის მომენტისა და კუთხური სიჩქარის ნამრავლს

$$j = I \omega.$$

მისი საზომი ერთეულია ნ·მ·წმ.

წნევა. წნევა ეწოდება ზედაპირზე თანაბრად განაწილებული წნევის ძალის ფარდობას ზედაპირის ფართობთან

$$p = \frac{F}{S}.$$

სადაც F არის წნევის ძალა, S — ფართობი.

წნევის ერთეულია ნ/მ², ე. ი. ისეთი წნევა, რომელსაც ავიანარებს ერთი ნ ძალა ერთ მ² ფართობზე.

წნევის გრადიენტი ეწოდება წნევის ცვლილებას ამ ცვლილების ნაქსიმალური სიჩქარის მიმართულებით ერთეულ სიგრძეზე, ე. ი.

$$\text{grad } p = \frac{dp}{dl}.$$

წნევის გრადიენტის ერთეულია ნ/მ³.

იუნგის მოდული. იუნგის მოდული ანუ სიგრძედი დრეკადობის მოდული განისაზღვრება ტოლობით

$$E = \frac{F l_0}{S_0 \Delta l},$$

სადაც F არის ძალა ნიუტონებში, l_0 — ნიმუშის საწყისი სიგრძე მეტრებში, Δl — წაგრძელება მეტრებში, S_0 — ნიმუშის განივი კვეთის ფართობი კვადრატულ მეტრებში, იუნგის მოდულია ერთეულია ნ/მ².

20

სხეულის სხვადასხვა სახის დეფორმაცია სასიათდება:

1) სიგრძედი კუმშვის კოეფიციენტი (იუნგის მოდულის შებრუნებული სიდიდე)

$$\alpha = \frac{1}{E}.$$

საზომი ერთეულია მ²/ნ.

2) სხეულის ელმუხის მოდული, რომელიც განისაზღვრება ფორმულით

$$\alpha = \frac{1}{V_0} \frac{dV}{dp},$$

სადაც V_0 არის სხეულის საწყისი მოცულობა კუმურ მეტრებში, dV — მოცულობის ელემენტარული ცვლილება კუმურ მეტრებში, dp — წნევის ელემენტარული ცვლილება ნ/მ²-ში, სხეულის კუმშვის მოდულის ერთეულია მ³/ნ.

3) განივი კუმშვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით

$$\beta = \frac{S_0 \Delta l}{F l}.$$

განივი კუმშვის კოეფიციენტის ერთეულია მ²/ნ.

ძვრის დეფორმაცია განისაზღვრება ძვრის კუთხით

$$\gamma = \frac{\tau}{G}.$$

სადაც τ არის მზები ძაბვა ნ/მ²-ში, G — ძვრის მოდული ნ/მ² ში.

ძვრის დეფორმაცია იზომება რადიანებში.

ნუშაობა, ენერჯია, სიმკვავე. სხეულზე მოქმედი მუდმივი ძალის მუშაობა განისაზღვრება გზის ნიშართულებით ძალის გვერდის ნამრავლით ამ გზის სიგრძეზე, რომელზედაც გადაადგილდება სხეული ამ ძალის მოქმედებით

$$A = F S,$$

სადაც F არის მოქმედი ძალის გვერდი ნიუტონებში, S — გზის მეტრებში. ნუშაობის ერთეულია ჯოული (ჯ)

$$1 \text{ ჯ} = 1 \text{ ნ} \cdot 1 \text{ მ} = 1 \text{ კგმ}^2/\text{წმ}^2.$$

ჯოული არის ის მუშაობა, რომელსაც ასრულებს ერთი ნიუტონი ძალა ამ ძალის მოდულის წერტილის ძალის მოტენვების მიმართულებით ერთ მეტრ გზაზე გადაადგილების დროს.

ენერჯია იზომება აუზიომის ერთეულით, ე. ი. ჯოულით.

ენერჯიის სიმკვრივე განისაზღვრება როგორც მოცულობის ერთეულზე მოსული ენერჯიის რაოდენობა

$$w = \frac{W}{V}.$$

სადაც W არის ენერჯია ჯოულებში, V — მოცულობა კუმურ მეტრებში. ენერჯიის სიმკვრივის საზომი ერთეულია ჯოული/მ³ (ჯ/მ³).

21

სიმძლავრე განისაზღვრება დროის ერთეულში შესრულებული მუშაობით

$$N = \frac{A}{t}$$

სადაც A არის მუშაობა ჯოულებში, t — დრო წამებში.

სიმძლავრის ერთეულია ვატი (ვტ);

1 ვატი = 1 ჯოული/წმ.

ვატი არის ისეთი სიმძლავრე, როდესაც ერთ წამში სრულდება ერთი ჯოული მუშაობა.

სიძლავრის კოეფიციენტი. შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი ანუ დინამიკური სიბლანტი განისაზღვრება ფორმულით

$$\eta = \frac{F}{S \cdot grad v}$$

სადაც F არის ხახუნის ძალა (ნერვის ნორმალური ძალა) ნიუტონებში, S — ფართობი კვადრატულ მეტრებში, $grad v$ — სიჩქარის გრადიენტი წმ⁻¹ ში.

$$\text{დინამიკური სიბლანტის საზომი ერთეულია } \frac{\text{ნიუტონი} \cdot \text{წმ}}{\text{გ}^2} \left(\frac{\text{ნ} \cdot \text{წმ}}{\text{გ}^2} \right)$$

1 $\frac{\text{ნ} \cdot \text{წმ}}{\text{გ}^2}$ ისეთი ნიუთონების დინამიკური სიბლანტის, რომელშიც

შობრავი ფენის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე მოქმედებს ერთი ნიუტონის ტოლი შინაგანი ხახუნის ძალა, ამ შემთხვევაში, თუ შობრავ ფენასა და მისგან ერთი მეტრით დაცილებულ ფენას შორის სიჩქარის ცვლილება ერთი მ/წმ-ის ტოლია.

კინემატიკური სიბლანტის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც დინამიკური სიბლანტის ფარდობა სიმკვრივესთან.

$$\gamma = \frac{\eta}{\rho}$$

სადაც η არის დინამიკური სიბლანტი $\frac{\text{ნ} \cdot \text{წმ}}{\text{გ}^2}$ ში, ρ — სიმკვრივე $\frac{\text{გ}}{\text{სმ}^3}$ ში.

კინემატიკური სიბლანტის ერთეულია $\frac{\text{გ}^2}{\text{წმ}}$

მოდული უფიქსირი და თანამდინამიკური მოდული სიბლანტის წარმოებები ერთეულები

ტენზორატორული გრადიენტი. ტენზორატორული გრადიენტი განისაზღვრება როგორც ტენზორატორული ცვლილება სიგრძის ერთეულზე ამ ცვლილების უდიდესი სიჩქარის მიმართულებით

$$grad T = \frac{dT}{dl}$$

ტენზორატორული გრადიენტის ერთეულია გრად/წმ. წრფივი და მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტები. წრფივი გაფართოების კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით

$$\alpha = \frac{\Delta l}{l_0 \Delta t}$$

სადაც Δl არის სხეულის სიგრძის ნამატი ნეტრებში წილი Δt — გრადუსით გათბობისას, l_0 — სხეულის საწყისი სიგრძე ნეტრებში.

წრფივი გაფართოების კოეფიციენტის საზომი ერთეულია გრად⁻¹. მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით

$$\beta = \frac{\Delta V}{V_0 \Delta t}$$

სადაც ΔV არის სხეულის მოცულობის ნამატი კუბურ მეტრებში Δt გრადუსით გათბობისას, V_0 — სხეულის საწყისი მოცულობა კუბურ მეტრებში.

მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტის საზომი ერთეულია გრად⁻¹.

მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტის შესაფასად, წნევის ცვლილების დასახასიათებლად ტენზორატორული ერთი გრადუსით ცვლილებისას შედგება წნევის თერმული (ტენზორატორული) კოეფიციენტი

$$\gamma = \frac{\Delta p}{p_0 \Delta t}$$

საზომი ერთეულია გრად⁻¹.

ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი. სიდიდეს, რომელიც რიცხობრავად ტოლია სიბლანტის ზედაპირის სიგრძის ერთეულზე ამ სიგრძის მართობულად მოწვევი დაჭიმულობის ძალისა, ეწოდება სიბლანტის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი, σ .

$$\sigma = \frac{F}{l}$$

სადაც F არის ძალა ნიუტონებში, l — სიბლანტის თანასწორი ზედაპირის სიგრძე, რომელზედაც მოქმედებს ზედაპირული დაჭიმულობის ძალა, მეტრებში. სიბლანტის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტის ერთეულია ნ/წმ, ხშირად ამ სიდიდეს, გამოსახადენ ჯ/წმ-ში.

სიაბოს რაოდენობა. სიაბოს გადაცემის პროცესში სხეულის ნიერ მიღებული ან გაცემული ენერჯიის ზომას წარმოადგენს სიდიდე, რომელსაც სიაბოს რაოდენობა ეწოდება.

სიაბოს რაოდენობის ერთეულია ჯოული (ჯ).

ფაზური გარდაქმნის სიძლიერის (ორთქლადქცევას, დნობისა და სუბლიმაციის) საზომი ერთეულია ჯოული.

სითბური ნაკადი განისაზღვრება როგორც სითბოს რაოდენობა, რომელიც ერთეულ დროში ვრცელდება ტემპერატურის შემცირების მიმართულებით. სტაციონარული სითბური ნაკადი განისაზღვრება ფორმულით

$$Q = \frac{Q}{t}$$

სადაც Q არის t დროში გადტყვლების მიმართულებით გადატანილი სითბოს რაოდენობა ჯოულებში.

სითბური ნაკადის ერთეულია ვატი.

საწყისის თბოუნარიანობა განისაზღვრება როგორც სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა ერთეული მასის საბაზის სრული წყის შეღებვად, ე. ი.

$$c = \frac{Q}{m}$$

სადაც Q არის სითბოს რაოდენობა ჯოულებში, m — ნივთიერების მასა კგ-ში.

თბოუნარიანობის საზომი ერთეულია ჯ/კგ.

ფაზური გარდაქმნის (ორთქლადქცევის, დნობისა და სუბლიმაციის) კუთრი სითბო განისაზღვრება როგორც მასის ერთეულის მიერ შთანთქმული ან გამოყოფილი სითბოს რაოდენობა ფაზური გარდაქმნის პროცესში. ფაზური გარდაქმნის სითბო განისაზღვრება ფორმულით

$$\lambda = \frac{L}{m}$$

სადაც L არის ფაზური გარდაქმნის სითბო ჯოულებში, m — ნივთიერების მასა კგ-ში.

ფაზური გარდაქმნის კუთრი სითბოს საზომი ერთეულია ჯ/კგ. მაგალითად, დნობის კუთრი სითბოსათვის ეს ერთეულია წვიძლება ასე განისაზღვროს: ჯოული კილოგრამთან ეს ისეთი ნივთიერების დნობის კუთრი სითბოა, რომლის ერთი კგ მასის გასაღწობად ნორმალური წნევის პირობებში უნდა გადაეცეთ ერთი ჯოული სითბოს რაოდენობა.

სითბოტევადობა სხეულის სითბოტევადობა ეწოდება სითბოს ამ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეთ მას იმისათვის, რომ მისი ტემპერატურა ერთი გრადუსით გაეზარდოს განსაზღვრული თერმოდინამიკური პროცესის დროს (იზობარული, იზოქორული და ა. შ.)

$$C = \frac{dQ}{dT}$$

სადაც dQ არის ელემენტარული სითბოს რაოდენობა ჯოულებში, dT — ტემპერატურის ელემენტარული ცვლილება გრადუსებში.

სითბოტევადობის საზომი ერთეულია $\frac{ჯ}{გრად}$.

ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა ეწოდება სითბოს ამ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეთ მასის ერთეულს იმისათვის, რომ მისი ტემპერატურა ერთი გრადუსით გაეზარდოს განსაზღვრული თერმოდინამიკური პროცესის დროს:

$$c = \frac{C}{m}$$

კუთრი სითბოტევადობის საზომი ერთეულია $\frac{ჯ}{კგ \cdot გრად}$.

გაზებისათვის სარგებლობენ მოლეკულური სითბოტევადობის ცნებებით.

გაზის მოლეკულური სითბოტევადობა ეწოდება სითბოს ამ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეთ ერთ კილოგრამ-მოლეკულა გაზს, რომ მისი ტემპერატურა ერთი გრადუსით გაეზარდოს განსაზღვრული თერმოდინამიკური პროცესის დროს.

განსაზღვრის თანახმად გაზის მოლეკულური სითბოტევადობები მუდმივია წნევის (იზობარული პროცესის) და მუდმივი მოცულობის (იზოქორული პროცესის) დროს განისაზღვრება ტოლობებით

$$C_p = \mu c_p \text{ და } C_v = \mu c_v$$

სადაც μ არის გაზის მოლეკულური წონა.

მოლეკულური სითბოტევადობის საზომი ერთეულია $\frac{ჯ}{კილომოლი \cdot გრად}$.

გაზების უნივერსალური მუდმივა. გაზების უნივერსალური მუდმივა რიცხობრივად იმ მუნიობის ტოლია, რომელიც სრულდება გაზის ერთი კილოგრამის იზობარულად გათბობისას ერთი გრადუსით

$$R = \frac{p \Delta V}{\Delta T}$$

გაზების უნივერსალური მუდმივას საზომი ერთეულია $\frac{ჯ}{კილომოლი \cdot გრად}$.

სითბოგამტარობის კოეფიციენტი. სითბოგამტარობის კოეფიციენტი რიცხობრივად სითბოს ამ რაოდენობის ტოლია, რომელიც გადატანება ტემპერატურის მახსინალური ცვლილების მიმართულებით მართობულად მოთავსებულ ფართობის ერთეულში ერთი წამის განმავლობაში, როცა ტემპერატურის ცვლილება სიგრძის ერთეულზე ტემპერატურის ერთი ერთეულის ტოლია

$$\lambda = \frac{\Delta Q \Delta x}{\Delta T \Delta S \Delta t} = \frac{q}{grad T}$$

სადაც q არის სითბური ნაკადი ფართობის ერთეულზე $\frac{3}{2} \frac{3}{2}$ -ში, $grad T$ ტემპერატურული გრადიენტი გრად/მ-ში.

სითბოგამტარობის კოეფიციენტის ერთეულია $\frac{3}{2} \frac{3}{2}$ მ-გრად

$\frac{3}{2}$ ეს ისეთი ნივთიერების სითბოგამტარობაა, რომლის ერთ

კვადრატულ მეტრ ფართობში ერთ წანში ვაღია ერთი ჯოჯის გვი-
ვალენტური სითბოს რაოდენობა, თუ ტემპერატურა ფართობის მართი-
ბული მიწათუღებთ ერთ მეტრ სიგრძეზე მცირდება ერთი გრადუსით.

ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი. ტემპერატურაგამტარო-
ბის კოეფიციენტი ახსიათებს გარემოს სხვადასხვა წერტილში ტემპე-
რატურის გათანაბრების სიჩქარეს და განისაზღვრება ფორმულით

$$k = \frac{\lambda}{\rho}$$

სადაც λ არის სითბოგამტარობის კოეფიციენტი $\frac{3}{2} \frac{3}{2}$ ში, ρ — ერთ-

რი სითბოტეფადობა $\frac{3}{2} \frac{3}{2}$ ში, ρ — სიმკვრივე $\frac{3}{2} \frac{3}{2}$ -ში.

ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტის საზომი ერთეულია $\frac{3}{2} \frac{3}{2}$.

სისტემის მახასიათებელი თერმოდინამიკური ფუნქციები. 1. სხეუ-
ლის შინაგანი ენერჯია ანუ თერმოდინამიკური ენერჯია, რომელიც წარ-
მოადგენს სხეულის მდგომარეობის ფუნქციას, განისაზღვრება, როგორც
სხეულის შინაგანი მდგომარეობის იმ სრული ენერჯიის მარაგი, რომე-
ლიც იცვლება სითბოგადაცემისა და მუშაობის შედეგების პროცესში.
თერმოდინამიკის პირველი პრინციპია თანახმად სისტემის შინაგანი
ენერჯიის ცვლილება ტოლია სისტემაზე გადაცემული ან წართმეული
უხასრულოდ წვირე სითბოს რაოდენობისა და უხასრულოდ მცირე მუ-
შაობის ჯამისა

$$dU = dQ + dA.$$

შინაგანი ენერჯიის ერთეულია ჯოჯლი.

2. სითბური ფუნქცია განისაზღვრება როგორც სხეულის შინა-
განი ენერჯიის და პოტენციალური ფუნქციის ჯამი

$$W = U + PV,$$

სადაც U არის შინაგანი ენერჯია ჯოჯლებში, P — აბსოლუტური წნე-
ვა $\frac{3}{2}$ ში, V — მოცულობა კუბურ მეტრებში (PV — პოტენციალური
ფუნქცია ჯოჯლებში).

სხეულის ან სხეულთა სისტემის მდგომარეობის ფუნქციას, რომე-
ლიც განისაზღვრება ფორმულით

$$dS = \frac{dQ}{T}$$

წოდება ენტროპია.

აქ dQ არის სხეულზე ან სხეულთა სისტემაზე გადაცემული ან წართ-
მეული ელემენტარული სითბოს რაოდენობა ჯოჯლებში, T — აბსოლუ-
ტური ტემპერატურა გრადუსებში, dS — ენტროპიის ცვლილება.

ენტროპიის ერთეულია $\frac{3}{2}$ გრად

ერთი ენტროპია წარმოადგენს ენტროპიის განკუთვნილს მასის
ერთეულისათვის

$$s = \frac{S}{m}$$

სახონი ერთეულია $\frac{3}{2}$ გრად

თავისუფალი ენერჯია განისაზღვრება თანაფარდობით

$$F = U - TS.$$

სადაც U არის შინაგანი ენერჯია ჯოჯლებში, S — ენტროპია $\frac{3}{2}$ ში,

T — აბსოლუტური ტემპერატურა გრადუსებში.
თავისუფალი ენერჯიის ერთეულია ჯოჯლი.
გამის თერმოდინამიკური პოტენციალი, რომელიც P და T ცვლი-
დება ფუნქციას, განისაზღვრება ფორმულით

$$\Phi = F + pV.$$

თერმოდინამიკური პოტენციალის ერთეულია ჯოჯლი.

ბოლსტიკური მართიუფანი

ბგერის სიჩქარე და სიხშირე. ბგერისა და ბგერითი ტალღის გავრ-
ცელების სიჩქარის ერთეულია $\frac{3}{2}$ ში. ხშირ შემთხვევაში ბგერით ტალღის

ახსიათებენ მოცულობითი სიჩქარით. ბგერის ტალღის მოცულობითი
სიჩქარე განისაზღვრება როგორც ბგერის სიჩქარის ნამრავლი ზედაპი-
რის ფართობზე, რომელიც გარემოს ნაწილაკების მოძრაობის მიმართუ-
ლების მართობულია, ე. ი.

$$q = vS,$$

სადაც v არის ბგერის სიჩქარე $\frac{3}{2}$ ში, S — ზედაპირის ფართობი კვად-
რატულ მეტრებში.

მოცულობითი სიჩქარას ერთეულია $\frac{მ^3}{წმ}$.
 ბგერის სიხშირის საზომი ერთეულია ჰერც (ჰც).
 წრიული სიამრცე განისაზღვრება ფორმულით

$$\omega = \frac{2\pi}{T}$$

სადაც T არის რხევის პერიოდი წმ-ში.

წრიული სიხშირის ერთეულია $\frac{რად}{წმ}$.

ბგერითი წნევა. ბგერითი ტალღები გარემოში გავრცელებისას იწვევს წნევის ცვლილებას (დამატებით წნევას). ბგერითი ტალღების გარემოს ზედაპირზე დაკავშირებული გამოწვეულ წნევას ბგერითი წნევა ეწოდება. ბგერითი წნევა განისაზღვრება თანაფარდობიდან

$$\Delta p = \rho a v$$

სადაც ρ არის გარემოს სიმკვრივე $\frac{მგ}{სმ^3}$ -ში, a — ბგერის ტალღის გავრცელების სიჩქარე $\frac{მ}{წმ}$ -ში და v — გარემოს ნაწილაკის რხევის სიჩქარე $\frac{მ}{წმ}$ -ში.

ბგერითი წნევის საზომი ერთეულია $\frac{ნიუტონი}{მ^2}$ (ნ/მ²).

აკუსტიკური წინაღობა. დრეკადი გარემოს ბგერის გამტარებლობის თვისებას ახასიათებენ აკუსტიკური წინაღობით. გარემოს აკუსტიკური წინაღობა განისაზღვრება ფორმულით

$$Z = \frac{\Delta p}{q}$$

სადაც Δp არის ბგერითი წნევა $\frac{მ}{წმ^2}$ -ში, q — ბგერის მოცულობითი სიჩქარე $\frac{მ^3}{წმ^2}$ -ში.

აკუსტიკური წინაღობის საზომი ერთეულია $\frac{მ \cdot წმ}{ს^2}$.

აკუსტიკური სისტემის დასახასიათებლად მიღებულია აკუსტიკური სისტემის მექანიკური წინაღობის ცნება. აკუსტიკური სისტემის მექანიკური წინაღობა განისაზღვრება, როგორც სიჩქარის მიმართული მოცულებული ფართობზე მოქმედი ძალის შეფარდება ხაზოვანი სიჩქარის სიდიდესთან

$$Z = \frac{F}{v}$$

სადაც F არის მოქმედი ძალა ნაუტონებში, v — ხაზოვანი სიჩქარე $\frac{მ}{წმ}$ -ში.

აკუსტიკური სისტემის მექანიკური წინაღობის ერთეულია $\frac{მ \cdot წმ}{ს}$.

ბგერითი ენერჯიის სიმკვრივე და ნაკადი. ბგერითი ენერჯიის რაოდენობას, რომელიც მოედს გარემოს მოცულობის ერთეულზე, ეწოდება ენერჯიის სიმკვრივე

$$e = \frac{\Delta E}{\Delta V}$$

სადაც ΔE არის ბგერითი ტალღების ენერჯია ჯოულებში, ΔV — მოცულობის ელემენტი კუბურ მეტრებში.

ბგერითი ენერჯიის სიმკვრივის ერთეულია $\frac{ჯოული}{მ^3}$ (ჯ/მ³).

ბგერითი ენერჯიის ნაკადი ეწოდება ენერჯიის რაოდენობას, რომელიც დროის ერთეულში გადის რაიმე ფართობში ამ ფართობისადმი ნორმალის მიმართულებით

$$P = \frac{\Delta E}{\Delta t}$$

სადაც ΔE არის ბგერითი ენერჯიის რაოდენობა ჯოულებში, Δt — დრო წმ-ში.

ბგერითი ენერჯიის ნაკადის საზომი ერთეულია ვატი (ვტ).

ბგერის ინტენსივობა. ბგერის ინტენსივობა ეწოდება ენერჯიის რაოდენობას, რომელიც გადის ბგერის ტალღის გავრცელების მიმართულების მართობულად მოთავსებული ფართობის ერთეულში, ერთი წამის განმავლობაში.

განსაზღვრის აქანხმად ინტენსივობა გამოისახება ფორმულით

$$I = \frac{P}{S}$$

სადაც P არის ბგერითი ენერჯიის ნაკადი (საშუალო მნიშვნელობა) ვატებში, S — ფართობი კვადრატულ მეტრებში.

ბგერის ინტენსივობის ერთეულია $\frac{ვატი}{მ^2}$ (ვტ/მ²).

* * *

სმენის ორგანიზმის საშუალებით მჯერდება კავშირი გარემოს აკუსტიკურ აღვწენებას და ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს შორის. სმენის ორგანიზმის მახასიათებლებში წეინდება შევადაროთ იმ სპექტრალსკობის მან-

ხასიათებლებს, რომელიც რხევების ამპლიტუდას განსაზღვრავს ლოგარითმული სკალით და სიხშირეებს — ბგერითი დონეების ნიხედვით. აღამაანის სმენის ორგანოს მიერ აღქმული ბგერითი სიხშირე 10-დან 20000 ჰერცამდე საზღვრებში მდებარეობს. მოცემული სიხშირისას იმ მინიმალურ ბგერის ინტენსივობას, რომელსაც სმენის ორგანო აღიქვამს, ეწოდება სმენადობის ზღვრული, სინუსოიდური რხევებისათვის სმენადობის ზღვრული დაპოკიდებულია სიხშირეზე. აღნიშნის სმენის ორგანო განსაკუთრებით მგრძობიარეა საშუალო სიხშირეთა არეში (700 - 6000 ჰც). ახვადასება ინდივიდუულისათვის სმენადობის ზღვრული სხვადასხვაა. ერთი და იმავე ინდივიდუულისათვის სმენადობის ზღვრული იცვლება წლოვანების ზრდასთან და დაპოკიდებულია ნერვულ სისტემაზე. სიმარტივასათვის ნიღბულია სტანდარტული სმენადობის ზღვრული (1000 ჰც სიხშირისათვის ნიღბულია 10^{-12} ვტ/მ²). ბგერის მაქსიმალურ ინტენსივობას, რომლის ზევიითაც სმენის ორგანო მტკივნეულ შეგრძნებებს განიცდის, ეწოდება მტკივნეული შეგრძნების ზღვრული. სმენადობის ზღვრულსა და მტკივნეულ შეგრძნების ზღვრულს შორის შოთავსებულ არეს სმენადობის არე ეწოდება.

ბგერის მათასიათებელი სიუცდებების ლოგარითმული სკალით გამოსახებისათვის აღდგენენ მათასიათებელი სიდიდის ნულთან დონეს, რომლის მინართაც შეფასდება მათასიათებელი სიდიდის სავა მნიშვნელობები. ბგერითი წნევის დონე განსაზღვრავს ბგერითი წნევის გამდიერებას ან შესუსტებას ბგერითი წნევის ნულოვანი დონის მიმართ

$$L = k \lg \frac{\Delta p}{\Delta p_0}$$

სადაც Δp არის ბგერითი წნევა ნ/მ²-ში, Δp_0 — ბგერითი წნევის ნულოვანი დონე ნ/მ²-ში, k — პროპორციულობის კოეფიციენტი.

ბგერითი წნევის ნულოვან დონეს ეწოდებენ წნევის ზღვრულს და მასთვის მიღებულია მნიშვნელობა

$$\Delta p_0 = 2 \cdot 10^{-5} \text{ ნ/მ}^2.$$

თუ $k=1$ და დავუყვებთ, რომ $\lg \frac{\Delta p}{\Delta p_0} = 1$, შეიღებთ $L=1$.

ამრიგად, ბგერითი წნევის დონის ერთეულად მიღებულია ისეთი დონე, როდესაც ბგერითი წნეების ფარდობა 10-ის ტოლია; ბგერითი წნევის ამ ერთეულს ბგერა ეწოდება.

პრაქტიკაში მიღებულია დეციბელი (დცბ), რომელიც ათჯერ ნაკლებია ბგერაზე

